ქ. ბათუმი 15.06.2017 წ

სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო"-ს მრჩეველთა საბჭოს

რ ე კ ო მ ე ნ დ ა ც ი ა

პრიორიტეტებთან შესაბამისობის დადგენა

საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს მრჩეველთა საბჭო აღნიშნავს, რომ ჰქონდა შესაძლებლობა გაცნობოდა მაუწყებლის თანამშრომელთა იდეებსა და წარმოდგენილ პროექტებს, ახალი პროგრამების მომზადებისა საეთერო ბადის განახლებისათვის.

წარმოდგენილი პროექტებიდან გარკვეული ნაწილი შეესაბამებოდა მიმდინარე პროგრამულ პრიორიტეტებს. ეს შეფასება მეტად შეესაბამება იდეებს რადიოს ნაწილში.

ამასთანავე, მრჩეველთა საბჭო საჭიროდ მიიჩნევს შენიშნოს, რომ პროექტები უმთავრესად მსგავსი (შემეცნებითი, გასართობი, საბავშვო) მიმართულებით იყო წარმოდგენილი და შედარებით ნაკლებად სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური აქცენტით. რომელთა საჭიროებასაც განსაზღვრავს, როგორც ზოგადი იდეა საზოგადოებრივი მაუწყებლობისა, ასევე მოქმედი კანონი და პროგრამული პრიორიტეტები. შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ მაუწყებლის ხელმძღვანელმა რგოლმა უნდა გაგრძელოს ამ მიმართულებით იდეების მოძიება, მათ შორის მაუწყებლის გარეთაც. და შეძლებისდაგვარად, მოკლე დროში დაიძლიოს იმ პროგრამების დეფიციტი, რომელიც ფიქსირდება მოქმედ სატელევიზიო ბადეში. ამის საჭიროებას კიდევ უფრო აქტუალურს ხდის მოახლოებული თვითმმართველობის არჩევნები.

შეფასების კრიტერიუმები

მრჩეველთა საბჭო მმართველ გუნდს, ასევე აძლევს რეკომენდაციას განისაზღვროს სატელევიზიო და რადიო პროექტების დამტკიცების მკაფიო და ვრცელი კრიტერიუმები. ყველა პროექტი უნდა დამტკიცდეს მკაფიო პირობების დათქმით, სადაც განსაზღვრული იქნება პროექტის ხანგრძლივობა, პერიოდულობა, საეთერო დრო(ქრონომეტრაჟი), სოციალური აუდიტორია, სავარაუდო აუდიტორიის მომიჯნავე სოციალური სეგმენტი, რომელთა მიმართულებითაც შესაძლებელი იქნება აუდიტორიის გაფართოება, პროექტის განხორციელების მიზნები, ამოცანები, სავარაუდო შედეგები, მიზნის მიღწევის ფორმები და სატელევიზიო / რადიო ფორმატი. ასევე, ტექნიკური და ინტელექტუალური რესურსი. მკაფიო ხარჯთაღრიცხვა.

მრჩეველთა საბჭო მიიჩნევს, რომ პროექტის დამტკიცებისას ხელშეკრულებაში უნდა აისახოს, ასევე პროექტის აუდიტორიის პირობითი სიდიდეც (მინიმალური რეიტინგი). ამ

თემის დასაზუსტებლად განვმარტავთ: საზოგადოებრივი მაუწყებლის ამოცანები არ მოითხოვს იმ ტიპისა და სიდიდის რეიტინგს, რომელსაც კომერციული და მარკეტინგული მიზნები ექნება. მაგრამ აუცილებელია მომზადებული პროდუქტი ასრულებდეს თავის საზოგადოებრივ ამოცანებს და მინიმუმ იმ სეგმენტისათვის იყოს საჭირო და მისაღები, რისთვისაც / ვისთვისაცაა განსაზღვრული და მომზადებული. შესაბამისად მაუწყებელს შეუძლია ყოველ კონკრეტულ დროს განსაზღვროს მინიმალური აუდიტორიის კოეფიციენტი. რომელიც შესაძლებელია, ეფუძნებოდეს, მთვლელებით აღრიცხულ, ბოლო ექვსი თვის მონაცემებით, საკუთარი ყველა პროდუქტის მაყურებელთა საშუალო რაოდენობას, ან რაიმე სხვა რაციონალურ საფუძვლებს.

აღნიშნული კრიტერიუმები, მაუწყებელს შესაძლებლობას მისცემს, მხარი დაუჭიროს პროგრამული პრიორიტეტების შესაბამის პროექტებს და ახორციელებდეს მათ მონიტორინგს. ასევე, ხელს შეუწყობს მაუწყებელსა და ავტორებს შორის მკაფიო და ცივილიზებული, სამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. გააძლიერებს განვითარების, ხარისხის დახვეწისა და აუდიტორიის გაფართოების ინტერესს.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის

ტელევიზიისა და რადიო''-ს მრჩეველთა საბჭოს

თავმჯდომარის მ/შ რუსუდან იმედაიშვილი

მრჩეველთა საბჭოს წევრები:

გიორგი ირემაძე

ირაკლი დარცმელიძე

ბეჟან გობაძე